კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტი

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ,,მედიცინა“

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: დიპლომირებული მედიკოსი

2024

სარჩევი

ძირითადი მონაცემები საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ....4

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.... 4

პროგრამის ძირითადი მახასიათებლები....5

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი.... 5

სწავლის შედეგები....6

დარგობრივი ცოდნა.... 6

ბიოსამედიცინო, ქცევითი, კლინიკური, სოციალური მეცნიერებები და დარგის ფუნდამენტური პრინციპები (პშ 1).... 6

- კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს.... 6

დარგობრივი კომპეტენციები....7

- პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა (პშ 2).... 7
- კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა (პშ 3).... 7
- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები) (პშ 4).... 8
- მედიკამენტების გამოწერა (პშ 5).... 8
- პრაქტიკული პროცედურების ჩატარება (პშ 6).... 9
- სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია (პშ 7).... 9
- სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება (პშ 8).9
- პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება (პშ 9).... 10
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება (პშ 10) 10
- სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება (პშ 11).... 10
- სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება (პშ 12).... 10
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა (პშ 13).... 11
- პროფესიონალიზმი (პშ 14).... 11

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები 12

სწავლა-სწავლების მეთოდები.... 12

შეფასების მეთოდები.... 13

სურ. 2. პროგრამით სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნის, უნარებისა და პროფესიონალიზმის მიღწევის შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები.... 14

სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი.....14
ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის სისტემა.....15
სწავლებისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები 15
ადამიანური რესურსი 15
სასწავლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა.....15
პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა.....16

ძირითადი მონაცემები საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მედიცინა
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლის ხანგრძლივობა	6 წელი
პროგრამის მოცულობა	360 ECTS კრედიტი (1 ECTS კრედიტი = 30 საათი)
სწავლების ენა	ინგლისური
სწავლების საფასური	7000 აშშ დოლარი; საქართველოს მოქალაქეებისთვის 10000 ლარი

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

მედიცინის პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების მქონე პირი, რომელმაც ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და ფლობს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტს. ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კოეფიციენტებისა და საგნობრივი მინიმალური ბარიერის გათვალისწინებით. საქართველოს მოქალაქეებისათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ბარიერი ინგლისურ ენაში 70%–ზე მეტია, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში, ფიზიკასა და მათემატიკაში - 60%-ზე მეტი.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე სწავლის უფლება განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონით“ - მუხლი 52. პუნქტი 3. კერძოდ:

აბიტურიენტების და სტუდენტების მობილობის ხელშეწყობის მიზნით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში. ეროვნული გამოცდის გარეშე ჩარიცხვა დასაშვებია შემდეგი პირებისათვის:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული

სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

პროგრამის ძირითადი მახასიათებლები

- ✓ პროგრამაზე სწავლების ენა არის ინგლისური, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს კურსდამთავრებულის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ხარისხს;
- ✓ პროგრამა ინტეგრირებულია - ინტეგრაცია მიიღწევა სამედიცინო საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური ინტეგრაციის პრინციპით.
- ✓ პროგრამა იმგვარადაა სტრუქტურირებული, რომ სტუდენტებმა სწავლის პროცესშივე შეძლონ, ჩააბარონ აშშ-ის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის (United State Medical Licensing Examination - USMLE) ორი საფეხური. ამას გარდა, კვსუ-სა და ემორის უნივერსიტეტს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე, კვსუ-ის ,,მედიცინის“ პროგრამის ნებისმიერ სტუდენტს, რომელიც სწავლის პერიოდში ჩააბარებს ამერიკის სალიცენზიო გამოცდების პირველ საფეხურს, შესაძლებლობა აქვს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს კლინიკურ კლერკშიფებში ემორის სამედიცინო სკოლაში.
- ✓ პროგრამა ითვალისწინებს ზოგადსაუნივერსიტეტო განათლების ელემენტებს - მოიცავს ჰუმანიტარული საგნების ბლოკს: ცივილიზაციების ისტორია, ხელოვნების ისტორია და მსოფლიო ლიტერატურა, ყველა ეს დისციპლინა ინტეგრირებულია „დროის ღერძის“ გათვალისწინებით და მოქცეულია ჰუმანიტარული მოდულის „ალფადან - ომეგამდე“ ქოლგის ქვეშ, ასევე ჰუმანიტარული დისციპლინების ქვეში ისწავლება ფილოსოფია, ანთროპოლოგია, სოციოლოგია და ა.შ.
- ✓ პროგრამაში ძლიერია კვლევითი კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის ჩართვას სამეცნიერო კვლევაში უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად (ეპიდემიოლოგიური, სამედიცინო განათლების, ჯანდაცვის მიმართულებით). თუმცა, სტუდენტის მკვეთრად გამოხატული ინტერესის შემთხვევაში, სტუდენტს ექნება შესაძლებლობა, მონაწილოება მიიღოს მედიცინის სხვა სფეროებში მიმდინარე კვლევებშიც. შესაბამისად, კურსდამთავრებულს აქვს საკუთარი კვლევითი პროექტის განხორციელების გამოცდილება; აკადემიური ნაშრომის დაწერის და პრეზენტაციის უნარები.
- ✓ სტუდენტის კლინიკური უნარების, ეთიკური და პროფესიული დამოკიდებულებების მუდმივ განვითარებას უზრუნველყოფს სასწავლო კურსი „ექიმი, პაციენტი და საზოგადოება“.
- ✓ ძლიერი და სტრუქტურირებული მხარდაჭერის სისტემა: თითოეულ კურსს ჰყავს კურსის კოორდინატორი (საშუალოდ 50 სტუდენტზე - 1 კოორდინატორი), რომელიც სტუდენტს სწავლების სრული კურსის განმავლობაში ეხმარება აკადემიურ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში, აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში, უწევს კონსულტაციებს კარიერული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით და სხვ.
- ✓ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ექსტრაკურიკულუმური აქტივობების განხორციელება პროგრამის სტუდენტების წასახალისებლად როგროც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ამ პროექტების ძირითადი მიზანი იქნება კვსუ-ის სტუდენტებისთვის სხვადასხვა ქვეყნის სამედიცინო განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების გაცნობა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

მედიცინის პროგრამის სტრატეგიული მიზანია, მოამზადოს საერთაშორისოდ აღიარებული კომპეტენტური, კონკურენტუნარიანი, სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური ექიმები, რომელთაც სრულად აქვთ გააზრებული ვალდებულება

პაციენტებისა და საზოგადოების წინაშე, იზიარებენ ეთიკური ღირებულებების (თანაგრძნობისა და ტოლერანტობის) პრინციპებს, აღიარებენ კვლევის მნიშვნელოვან როლს ჯანდაცვის სისტემის განვითარებისათვის, მზად არიან დიპლომისშემდგომი განვითარებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის.

პროგრამის მიზნები ქვემოთ წარმოდგენილია დეტალიზებულად:

1. ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, კლინიკური მეცნიერებებისა და სამედიცინო დარგის ფუნდამენტური პრინციპების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის გამოყენების უნარი პაციენტზე მაღალხარისხიანი ზრუნვის პროცესში;
2. პაციენტის ჯანმრთელობის პრობლემათა დროული, შესაბამისი და ეფექტური დიაგნოსტირება, მართვა და ჯანმრთელობის ხელშეწყობა პაციენტზე ორიენტირებული ეფექტური ზრუნვით;
3. ეფექტური კომუნიკაცია ინტერპერსონალური და პროფესიული ურთიერთობის უნარების გამოყენებით;
4. საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაუმჯობესებაში მონაწილეობა პაციენტსა და პოპულაციაზე ორიენტირებული ეფექტური ზრუნვით, რასაც სტუდენტი ახორციელებს პროფესიულ და ეთიკურ ღირებულებებზე დაყრდნობით მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;
5. სამეცნიერო და კლინიკური სიახლეების დამოუკიდებლად მოპოვება, კრიტიკული ანალიზი და მართებულად გამოყენება კლინიკური პრობლემების გადასაწყვეტად;
6. უწყვეტი პროფესიული განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით საკუთარი საქმიანობის სრულყოფასა და პროფესიულ წინსვლაზე მუდმივი ზრუნვა.

პროგრამის მიზნების მიღწევაზე ზრუნვა მიმდინარეობს ეტაპობრივად, პროგრამის განხორციელების პროცესში.

სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები (პშ) ეფუძნება მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელს და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს. სწავლის შედეგები დაჯგუფებულია სამ ძირითად ნაწილად/კომპეტენციად: ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

დარგობრივი ცოდნა

ბიოსამედიცინო, ქცევითი, კლინიკური, სოციალური მეცნიერებები და დარგის ფუნდამენტური პრინციპები (პშ 1)

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- სხეულის სტუქტურისა და ფუნქციის (ნორმისა და პათოლოგიის დროს) შესახებ ცოდნის დემონსტრირება, როგორც მთლიანი სხეულის, ისე თითოეული ორგანოს დონეზე მთელი სიცოცხლის მანძილზე.

- ურთიერთობების და სოციალური დინამიკის სტრუქტურისა და ფუნქციის იდენტიფიცირება;
- ჰომეოსტაზის მოლეკულური, უჯრედული და ბიოქიმიური მექანიზმების ცოდნის დემონსტრირება;
- გენეტიკური მექანიზმებისა და რისკების იდენტიფიცირება ჯანმრთელ და ავადმყოფ ინდივიდებსა და პოპულაციაში (დიაგნოზი, მკურნალობა და პროფილაქტიკა);
- პაციენტის შემეცნებითი, ემოციური და სოციალური განვითარების გათვალისწინება მკურნალობის გეგმების შემუშავებაში;
- ეპიდემიოლოგიისა და სტატისტიკის პრინციპების გამოყენება პაციენტის მკურნალობისას;
- პაციენტზე ორიენტირებული ზრუნვის მნიშვნელობის გააზრება პაციენტების ინდივიდუალობის გათვალისწინებით.
- მკურნალობის მეთოდების, პროცესის, შედეგებისა და პრევენციის ზომების განსაზღვრა კონკრეტულ დაავადებასთან მიმართებაში.
- პაციენტთან დაკავშირებული სამედიცინო ინფორმაციის ანალიზი, ახსნა და განხილვა ეფექტური მკურნალობის მიზნებისთვის

დარგობრივი კომპეტენციები

პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა (პშ 2)

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- ამომწურავი და ზუსტი ანამნეზის შეკრება,- რომელიც, გარდა კლინიკური საკითხებისა,- მოიცავს პაციენტის რწმენის, ფსიქო-სოციალურ და კულტურულ საკითხებს, და ამ საკითხთა გათვალისწინება პაციენტის მკურნალობაში;
- ზუსტი და შესაბამისი გამოკვლევა, ზოგადი და ფოკუსირებული ფიზიკური გასინჯვა და ფსიქიკური სტატუსის შემოწმება;
- ზოგადი კლინიკური პროცედურების შესრულება;
- ფიზიკური გამოკვლევის ტექნიკის, ლაბორატორიული ტესტების, რენტგენოლოგიური და სხვა კლინიკური კვლევების შესაბამისად შერჩევა;
- სათანადო კლინიკური შეფასებების და რეკომენდაციების დროული წარმოდგენა ორგანიზებული ფორმით;
- კომუნიკაცია პაციენტზე ორიენტირებული მიდგომით, რაც გულისხმობს პაციენტთან ურთიერთობას ემპათიით, პატივისცემითა და თანაგრძნობით. ეს ხელს უწყობს - ერთი მხრივ, პაციენტის ნდობის მოპოვებას, მეორე მხრივ კი სტუდენტისთვის ავტონომიურობის ხარისხის გაზრდას.
- პაციენტებთან და მათი ოჯახის წევრებთან მკაფიოდ, დროულად და სწორი ფორმით კომუნიკაცია პაციენტის ჯანმრთელობასთან, მკურნალობის გეგმებთან, საჭირო სამედიცინო სერვისებთან ან რესურსებთან დაკავშირებით; მათთვის განმარტებების, რჩევების მიცემა, გამხნევება და მხარდაჭერა;
- პაციენტის, ექიმის ან ჯანდაცვის სხვა მუშაკის შეფასებების, მიკერძოებულობის და შეხედულებების ამოცნობა, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მკურნალობის ხარისხზე და შეცვალოს პაციენტისადმი მიდგომა.

კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა (პშ 3)

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- ანამნეზიდან მიღებული დასკვნების ინტერპრეტირება, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევა, კლინიკური, ფსიქოლოგიური, რელიგიური, სოციალური და

კულტურული ფაქტორების მნიშვნელობის გათვალისწინება;

- კლინიკური შემთხვევის შეფასება, პაციენტის პრობლემების წინასწარი შეფასება და დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება;
- დიფერენციული დიაგნოზისთვის საჭირო ალგორითმის შედგენა;
- კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია;
- პაციენტის ჩივილ(ები)ს სრულფასოვანი შეფასება და სავარაუდო დიაგნოზ(ებ)ის განსაზღვრა;
- კვლევის, მკურნალობის, მართვის და საავადმყოფოდან გაწერის გეგმის შემუშავება დადგენილი პრინციპების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, პაციენტებთან, მათ მომვლელებთან და სხვა სამედიცინო პროფესიონალებთან თანამშრომლობით;
- პაციენტის დამოკიდებულებების და პრიორიტეტების გათვალისწინება, ინფორმირებული თანხმობის მიღება და პაციენტის უფლებების პატივისცემა მისი მკურნალობისა და მოვლის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას;
- ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის ოჯახზე ზრუნვა ეფექტური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით; შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება არსებული რეგულაციებისა და სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.
- პაციენტების ადრეული ინფორმირება დაავადების პრევენციის მიზნით
- არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, კურსდამთავრებულთა მომზადების დონისა და გამოცდილების შესაფერისი კლინიკური მსჯელობა და გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის, არაპროგნოზირებად გარემოში.

გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები) (პშ 4)

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება (DRSABCDE);
- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დიაგნოსტიკა და მართვა;
- სათანადო ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის დროს;
- კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება ან გუნდის სხვა წევრების ხელმძღვანელობა გაიდლაინების შესაბამისად;
- გაფართოებული სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარება გაიდლაინების შესაბამისად;
- ტრავმების მკურნალობა გაიდლაინების შესაბამისად.

მედიკამენტების გამოწერა (პშ 5)

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- მედიკამენტოზური მკურნალობის ზუსტი სქემის შექმნა, რომელიც მოიცავს როგორც დანიშნულ, ისე სხვა მედიკამენტებს;
- შესაბამისი სამკურნალო თერაპიის დაგეგმვა გავრცელებული სიმპტომების, მათ შორის ტკივილისა და სხვა პათოლოგიების (distress) დროს;
- რეცეპტის გაცემა სამედიცინო ჩვენებისა და კანონმდებლობის შესაბამისად;
- სათანადო წამლის დოზების გაანგარიშება და დაფიქსირება;
- პაციენტებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება მათთვის დანიშნული მედიკამენტების შესახებ;

- მედიკამენტების შესახებ საიმედო ინფორმაციის წყაროზე წვდომა;
- პრეპარატების მიღების შემდგომი არასასურველი რეაქციების გამოვლენის დაფიქსირება და მოხსენება;
- გააცნობიერებს რა ზოგი პაციენტის მიერ დამატებითი და ალტერნატიული სამკურნალო საშუალებების გამოყენების ფაქტს, უნდა შეძლოს, რომ მოიპოვოს ინფორმაცია მკურნალობის ამ საშუალებების რაობისა და მოქმედების დიაპაზონის, გამოყენების გზებისა და დანიშნულ მკურნალობაზე მათი გავლენის შესახებ.

პრაქტიკული პროცედურების ჩატარება (პშ 6)

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- დიაგნოსტიკური პროცედურების შესრულება (იხ. დანართი 1), შეფასება და შედეგების ჩაწერა;
- თერაპიული პროცედურების შესრულება (იხ. დანართი 1);
- პრაქტიკული პროცედურების სწორად შესრულება (დანართი 1).

სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია (პშ 7)

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- პაციენტებთან, მათ ნათესავებთან, მომვლელებთან, ასევე კოლეგებთან, ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან ეფექტური კომუნიკაცია;
- ნათლად, გასაგებად და ეფექტურად კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან - განურჩევლად მათი ასაკის, სოციალური, კულტურული ან ეთნიკური წარმომავლობის ან შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად;
- ზეპირი, წერილობითი და ელექტრონული საშუალებებით კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით), გააცნობიერებს რა არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობას კონსულტაციის დროს;
- რთულ ვითარებაში კომუნიკაცია, როგორიცაა ცუდი ამბის შეტყობინება, სენსიტიურ საკითხებზე მსჯელობა (ალკოჰოლის მოხმარება, ნარკოტიკების მიღება ან ჭარბი წონა);
- რთულ ან აგრესიულ პაციენტებთან შესაბამისი კომუნიკაციის დამყარება;
- ფსიქიური დაავადებების მქონე პირებთან შესაბამისი კომუნიკაციის დამყარება;
- ეფექტური კომუნიკაციის დამყარება ნებისმიერ პირთან,- განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური წარმომავლობისა.

სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება (პშ 8)

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- კონფიდენციალობის დაცვა;
- მკურნალობის დროს ეთიკის პრინციპების და ანალიზის უნარის გამოყენება;
- ინფორმირებული თანხმობის მიღება და სათანადო ჩანაწერის გაკეთება;
- სიკვდილის ცნობის გაცემა;
- აუტოფსიის მოთხოვნა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში);
- მკურნალობისას საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის გამოყენება;
- სამედიცინო საქმიანობის წარმართვა მულტიკულტურულ გარემოში.

პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება (პშ 9)

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ფაქტორების შეფასება;
- დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების სოციალური ფაქტორების შეფასება;
- დაავადებასთან დაკავშირებული სტრესის დადგენა;
- ალკოჰოლზე და წამალზე დამოკიდებულების დადგენა;
- ბავშვებსა და/ან სხვა მოწყვლადი ჯგუფის პირებში სასტიკი მოპყრობის ან უყურადღებობის ნიშნების ამოცნობა და შესაბამისი ზომების მიღება.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება (პშ 10)

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- ბიომედიცინის საინფორმაციო რესურსების გამოყენება და მტკიცებულებებზე დაფუძნების გზით შესაბამისი კონსულტაციის გაწევა პრაქტიკულ საქმიანობაში;
- კვლევის დიზაინის, მეთოდებისა და მიღებული შედეგების შეფასება მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომით;
- სამედიცინო სტანდარტების, კლინიკური პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპებისა და პრაქტიკული ალგორითმების გამოყენება ინდივიდუალური პაციენტებისთვის ან პოპულაციისთვის. მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში;
- შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება;
- გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, დასკვნის გაკეთება და მათი პრაქტიკაში გამოყენება.

სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება (პშ 11)

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- კლინიკური ჩანაწერების სწორად წარმოება და სრულად შენახვა;
- ელექტრონული და სხვა რესურსების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში;
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროცესში;
- პირადი ჩანაწერების შენახვა (პორთფოლიო).

სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება (პშ 12)

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის საფუძველზე კვლევის დიზაინისა და დეტალური გეგმის შემუშავება, მიღებული შედეგების დამუშავება და დასკვნების გაკეთება
- პრაქტიკულ საქმიანობაში ბიომედიცინის მეცნიერებების თანამედროვე მიღწევების გამოყენება;

- ბიომედიცინაში სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე რეფერატის/მიმოხილვის დაწერა;
- კვლევაში სამეცნიერო ეთიკის პრინციპების გამოყენება.

ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა (პშ 13)

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- პაციენტთა მომსახურების გაუმჯობესებაში ადვოკატირებისა და ჯანდაცვის პოლიტიკის როლის გაანალიზება;
- პაციენტებისა და პოპულაციისთვის ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენება სამედიცინო განათლების, მკურნალობისა და სამედიცინო და ფსიქიატრიული მდგომარეობის რეაბილიტაციისთვის;
- ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა, როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე;
- ჯანდაცვის სისტემაში იმ ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც გავლენას ახდენს მის ხელმისაწვდომობაზე სამედიცინო დახმარების გაწევისას;
- პაციენტებთან ან თემთან მუშაობა მათი საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შესაბამისი ზომების მიღება;
- კულტურისა და რელიგიის გავლენის შეფასება პაციენტის მიერ ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის აღქმაზე, დაავადების სიმპტომებსა, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდებზე;
- პაციენტთა მკურნალობისას ხარჯთეფექტური გამოყენების პრინციპების გათვალისწინება;
- ჯანდაცვის სისტემის მუშაობის გაანალიზება ორგანიზაციული, დაფინანსებისა და სამედიცინო მომსახურების მიწოდების კუთხით;
- ჯანდაცვის სისტემაზე მოქმედი ფაქტორების ინტერესთა კონფლიქტებსა და სამედიცინო სამართლის სფეროსთან დაკავშირება;
- მომსახურების სისტემების ანალიზი მკურნალობის ხარისხისა და პაციენტის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

პროფესიონალიზმი (პშ 14)

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- ეთიკური გადაწყვეტილებისთვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული პრინციპების გამოყენება;
- ეთიკური ქცევის დემონსტრირება, მათ შორის: პაციენტების თანაგრძნობა, მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა და პატივისცემა, პატიოსნება და კეთილსინდისიერება, პაციენტების ადვოკატირება, კონფიდენციალობა და ანგარიშვალდებულება.
- საიმედოობის, პუნქტუალობის, სამართლიანობის დემონსტრირება ყველა პროფესიულ საქმიანობაში;
- ეთიკური და პროფესიული ქცევის ხელშეწყობის დემონსტრირება თანატოლებში;
- პირადი და პროფესიული ინტერესების კონფლიქტის გაანალიზება;
- ინტერპროფესიულ გუნდში ეფექტურად და პატივისცემით მუშაობის უნარის დემონსტრირება;
- ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და სიცოცხლის განმავლობაში პირადი და პროფესიული ზრდის შესანარჩუნებლად აუცილებელი თვისებების დემონსტრირება;

- სათანადო ლიდერობის უნარების დემონსტრირება, რაც ხელს უწყობს გუნდის ფუნქციონირებას, სასწავლო გარემოსა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას;
- თანაგრძნობისა და პასუხისმგებლობის უნარის დემონსტრირება სხვადასხვა ტიპის პაციენტებთან, მიუხედავად მათი ასაკის, კულტურის, რასის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობების, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სექსუალური ორიენტაციისა;
- საკუთარი პირადი და პროფესიული შესაძლებლობების ზღვარის გააზრება და საჭიროების შემთხვევაში დახმარების თხოვნა კოლეგებისა და ხელმძღვანელებისგან.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლა-სწავლების მეთოდები


პროგრამა მედიცინა ინტეგრირებულია. პროგრამის ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური ინტეგრაციის მიღწევა ხორციელდება პროგრამის შემადგენელ ცალკეულ კომპონენტებს (სასწავლო კურსები/მოდულები/კლერკშიფები) შორის კავშირით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასწავლო კურსი „ექიმი, პაციენტი და საზოგადოება“, რომელიც სწავლების პირველივე დღეებიდან ორიენტირებულია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე. ეს კურსი თავისთავად ინტეგრირებულია, ვინაიდან, ერთი მხრივ, მოიცავს როგორც თეორიულ მასალას (მაგალითად, მედიცინის ისტორიიდან), ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლებას (ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გამოკვლევა და სხვ.) ხოლო, მეორე მხრივ, ეხმარება დანარჩენ (თეორიული ხასიათის მოდულებს) პრაქტიკული კომპონენტით გამდიდრებაში. აღნიშნული კურსის ფარგლებში იწყება საუბარი პროფესიონალიზმის საკითხებზეც, რაც შემდეგ თანდათანობით ღრმავდება და ფართოდ იშლება კურიკულუმში.

აღსანიშნავია, რომ კურსის ,,ექიმი, პაციენტი და საზოგადოება“ ფარგლებში პირველივე სემესტრიდანვე დაგეგმილია სტუდენტების მივლინება სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში კლინიკურ პრაქტიკაზე პასიური დაკვირვების, ე.წ. „shadowing“-ის, მიზნით. ამრიგად, მედიცინის პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევა ხდება თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაციით, კლინიკური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებით: პირველი წლების განმავლობაში - მულაჟებისა და სიმულაციური პაციენტების მეშვეობით, ხოლო შემდეგ - კლინიკურ გარემოში. სწავლებისას უპირატესობა ენიჭება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.

სწავლება სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებზეა დაფუძნებული, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას. სასწავლო გეგმის პრეკლინიკური ბლოკი მოიცავს ინტერაქტიულ ლექციებს და აქტიური სწავლების სხვა ფორმებს (მცირე ჯგუფებს, ,,შებრუნებული საკლასო ოთახის“ მოდელს, გუნდზე დაფუძნებულ სწავლებას, დისკუსიებს, ემპირიულ სწავლებას, პროექტებს და სხვ.), რათა სრულიად მოხდეს სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში. აქცენტი კეთდება შემთხვევაზე დაფუძნებულ (CBL) და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე (PBL). პაციენტის საწოლთან სწავლება (bedside teaching) პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტული მეთოდია სწავლების ადრეული ეტაპებიდანვე. გარდა ამისა, კლინიკური უნარ-ჩვევების და სიმულაციების ცენტრის ხელმისაწვდომობა და სტანდარტიზებული პაციენტების აქტიური ჩართულობა სწავლებაში სტუდენტის კლინიკური უნარ-ჩვევების დახვეწის საშუალებას იძლევა.

სწავლება მცირე ჯგუფებში თითოეული სტუდენტის სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვის საშუალებას იძლევა. სწავლება სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით მიმდინარეობს: ინტერაქციული ლექციები, სემინარები; სწავლება კლინიკურ გარემოში; იმიტირებული სცენარისა და აღჭურვილობის, აგრეთვე სტანდარტიზებული პაციენტების გამოყენება; როლური თამაში; ლაბორატორიული სწავლება; პრეზენტაციები და ა.შ.

პაციენტის საწოლთან სწავლება (bedside teaching), დიდაქტიკური ხასიათის ლექციებთან, მცირე ჯგუფურ დისკუსიებთან, CBL, PBL, PICO პრეზენტაციებთან და სხვ. მეთოდებთან ერთად სწავლების მთავარ ფორმატს წარმოადგენს სასწავლო გეგმის კლინიკური ფაზის მიმდინარეობისას.




სურ. 1. პროგრამით სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნის, უნარებისა და პროფესიონალიზმის მიღწევისთვის გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები

შეფასების მეთოდები

პროგრამაში სტუდენტთა უნარ-ჩვევების და შედეგების შეფასება მილერის პირამიდის კონცეფციას ემყარება:

პირამიდის ყველაზე დაბალ დონეზე არის ცოდნა -„იცის“, რომელსაც მოსდევს გაფართოებული და გაღმავებული გრადაციები - „იცის როგორ“, „ აჩვენებს როგორ“ და „აკეთებს“.



სურ. 2. პროგრამით სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნის, უნარებისა და პროფესიონალიზმის მიღწევის შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები

შეფასების მეთოდების ფართო სპექტრი გამოიყენება სხვადასხვა სასწავლო კურსებში მილერის პირამიდის დონეების მიხედვით: ზეპირი გამოკითხვა, ესეს ტიპის კითხვები, მოდიფიცირებული ესეების კითხვების ჩეკლისტები (MEQs), MCQs (სავარაუდოპასუხებიანი კითხვები), EMQ (ვრცელი შესაბამისობის დამდგენი ფორმატის), სტუდენტების პრეზენტაციები, პროექტები, სამეცნიერო სტატიები, შეფასების შკალები, პაციენტების ისტორიები, OSPE, OSCE, შემთხვევის მოკლე შეფასება და შემთხვევის ვრცელი/სიღრმისეული შეფასება, ჟურნალი/დღიური, დამკვირვებელთა მოხსენებები, თვითშეფასება, სტანდარტიზებული პაციენტები და ა.შ. პრეკლინიკური ეტაპის დასრულებისას სწავლის შედეგების შეფასება ხდება არა მხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების კომპონენტშიც.

(პროგრამაში დამკვიდრებული ზოგადი შეფასების მეთოდების ჩამონათვალი იხ. ცხრილში 1).

კლინიკური სწავლების წლების განმავლობაში სტუდენტის მიღწევის შეფასება სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება, მათ შორის აღსანიშნავია სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება (WPBA-workbased place assessment) და მისი კომპონენტები - Mini-CEX (მინი-კლინიკური შეფასების სავარჯიშო), SCO (სტრუქტურირებული კლინიკური დაკვირვება), DOPS (პროცედურულ უნარებზე უშუალო დაკვირვება), CBD (რეალური შემთხვევის (მაგ. პაციენტის რეალური ისტორია), OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა).

ბოლო ათწლეულის მანძილზე მსოფლიოს წამყვან სამედიცინო სკოლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს სტუდენტებისა და რეზიდენტების სწავლა-სწავლების დონისა და ხარისხის შემოწმება ე.წ. EPA (entrusted professional activities) - სანდო პროფესიული აქტივობებით, რისი დანერგვაც პროგრამა მედიცინაში საპილოტე სახით ხორციელდება. EPA გულისხმობს აკადემიური პერსონალის მიერ ინდივიდუალური სტუდენტის შესაძლებლობის შეფასებას სწავლების სხვადასხვა ეტაპზე, რის შედეგადაც ხდება სწავლის (ცოდნის, უნარების) დეფიციტის განსაზღვრა. EPA გამოიყენება არა მხოლოდ შეფასებისთვის,

არამედ სწავლების მეთოდადაც მიიჩნევა.

სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი

უნივერსიტეტში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), რომელიც არის სწავლის შედეგებზე, სასწავლო პროცესის გამჭვირვალობაზე დაფუძნებული და სტუდენტზე ორიენტირებული სისტემა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სასწავლო ერთეულების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას/აღიარებას, აგრეთვე სტუდენტთა მობილობას.

კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას (ერთი კრედიტი 30 საათის ტოლია), რაც საჭიროა კონკრეტული სასწავლო კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. სასწავლო კურსი (საგანი/მოდული.კლერკშიფი) არის ერთსემესტრიანი. ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 კრედიტს. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებს და დასკვნით საგამოცდო შეფასებას: ჯამში მაქსიმუმ 100 ქულა. დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტს დაგროვებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 27 ქულა. კრედიტის მისაღებად საბოლოო შეფასება არ უნდა იყოს 51–ზე ნაკლები. გამოცდაზე სტუდენტი ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 24 ქულას 40 – დან. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით (A, B, C, D, E) და ორი სახის (FX და F) უარყოფით შეფასებას.

A) ფრიადი - 91-100 ქულა;
B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
C) კარგი- 71-80 ქულა;
D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
E) საკმარისი - 51-60 ქულა;
FX) ვერ ჩააბარა- 41-50 ქულა; სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
F) ჩაიჭრა- 40 ქულა და ნაკლები; სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
უარყოფითი შეფასების მიღებისას, სტუდენტს უფლება აქვს განმეორებით გამოცდაზე გავიდეს დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან არანაკლებ 5 დღეში.

ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის სისტემა

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის განვითარების ერთიანი კონცეფცია; მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (სისტემა), რომელიც წარმოდგენილია კვსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელით, ხარისხის საუნივერსიტეტო ჯგუფით. ხარისხის განვითარების პოლიტიკის განხორციელებაზე ანგარიშვალდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სრულად იზიარებს ხარისხის მართვის/უზრუნველყოფის ციკლურ მიდგომას, რომელიც შოვჰარტის ციკლის სახელწოდებითაა ცნობილი (PDCA):

- დაგეგმე (Plan=P)
- განახორციელე (Do=D)
- შეამოწმე (Check=C)
- იმოქმედე (Act=A)

ეს მოდელი ყველაზე მეტად შეესაბამება უნივერსიტეტში ხარისხის უწყვეტი განვითარების კონტექსტს: ციკლის ერთი ბრუნის დასრულება მეორის, ახლის დაწყებას, ნიშნავს და ა.შ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის პერსონალთან, სტრქუტრულ ერთეულებთან და სტუდენტებთან. მის მიერ შემუშავებული კრიტერიუმები საჯაროა და განთავსებულია კვსუ-ის ვებ-გვერდზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რუბრიკაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევის შედეგები და შეფასებები აკადემიურ საბჭოს წარედგინება, შინაარსის და საჭიროების მიხედვით - განთავსდება ვებ-გვერდზე.

შეფასების პროცესში გამოყენებულია შიდა და გარე შეფასების ფორმები. ორივე შემთხვევაში გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტი.

გარდა ზოგადსაუნივერსიტეტო მიდგომისა, პროგრამაში რეგულარულად ხორციელდება სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, მოდულების დაგეგმვის, პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის შეფასების და არგუმენტირებული ცვლილებების რეკომენდების მიზნით.

პროგრამის როგორც შინაარსობრივ, ისე ხარისხობრივ ანალიზში მონაწილეობას იღებს და აქტიურად არის ჩართული ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა

პროგრამის კურსდამთავრებულის - დიპლომირებული მედიკოსის - დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის შესაძლებლობა რეგულირდება დამსაქმებელი მხარის შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.

პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის უფლება.
დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლება აქვს, გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში, ან გაიაროს პროფესიული მომზადების სპეციალური კურსი (რეზიდენტურა).

იმ სტუდენტებს, რომელთაც ჩაბარებული ექნებათ ამერიკის სალიცენზიო გამოცდების ორი საფეხური, უფლება აქვთ, მონაწილება მიიღონ რეზიდენტურის შესარჩევ კონკურსში ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის (საფუძველი: საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი - მუხლი 17) შესაბამისად, ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს, დიპლომირებულ მედიკოსს შეუძლია:

ა) გაიაროს უმაღლესისშემდგომი პროფესიული მზადების კურსი და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის

უფლება;

ბ) განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას;

გ) იმუშაოს უმცროს ექიმად.